დანართი 1

განცხადება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებისა და კანდიდატის შერჩევის შესახებ

1. დაიწყოს კანდიდატთა რეგისტრაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად.
2. კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:
   ა) დოქტორის აკადემიური ხარისხი;
   ბ) სრული ან ასოცირებული პროფესორი;
   ბ) აკადემიურ და ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მუშაობის გამოცდილება;
   გ) სამოქმედო გეგმისა და კონცეფციის წარმოდგენა;
   დ) საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის გამოცდილება;
   ე) სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების ცოდნა;
   ვ) აკრედიტაციის პროცესის ცოდნა.
3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2010 წლის 25 აგვისტოს 10 საათიდან.
4. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატთა რეგისტრაციის ბოლო ვადად განისაზღვროს 2010 წლის 8 სექტემბრის 18 საათი.
5. აკადემიური საბჭოს მიერ კანდიდატთა შერჩევის ბოლო ვადად განისაზღვროს 2010 წლის 20 სექტემბერი და შერჩეული კანდიდატურა დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.
6. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში (თსუ II კორპუსი, ოთახი N4)
7. კანდიდატმა სარეგისტრაციოდ უნდა წარადგინოს:
   ა) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
   ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
   გ) ავტობიოგრაფია;
   დ) 2 ცალი ფოტოსურათი;
   ე) თსუ ან სხვა აკრედიტებული უმაღლესი სასწავლო დაწესებულების პროფესორის დამადასტურებელი საბუთი